


საქართველოს სსრ მეცნიერების ლენინური დღეები მოსკოვში



3 (1316)
თებერი 1969
ცემის 46-ე
ნი 20 პპპ.

ენიენი

ფეხსაცმელი, როგორღი ფეხი არ ჩაბივით

ფეხსაცმელი პირველი მოთხოვნის საგანია, მაგრამ კარგი ხარისხის პირველი მოთხოვნისთანავე როდი მოგვიდის!

ყველამ იცის, რომ ყველა სახის ფეხსაცმელი ორ ჯგუფად იყოფა: მარჯვენა (Правый), ანუ ჩვენებური და მარცხენა (Левый), ანუ იმპორტული.

ჩვენებურ ფეხსაცმელს, ჩვენში დარჩეს და, (სამწუხაროდ, მართლა ჩვენში რჩება და სხვაგან ცხვირი არ გამოეყოფა) ნაკლებად ეტანებიან, რადგან მუშტარი მუშტერი კი არ არის!

იმპორტულზე კი, თუმცა სული მიგდის, მაგრამ ზოგში „ფეხი არ ჩადის“ და ზოგზეც ხელი არ მიგიწვდება.

რა დასაძალია და, ჩვენებურ ფეხსაცმელს, დახლქვეშ არავინ მალავს — უნდა და დახვავებული მალაზიების ვიტრინებსა და თაროებზე. შენ ოღონდ იყიდე!

ზოგიერთი მალაზიის საქონელუცოდინარი, „საქონელმცოდნე“ თავზე და ფეხზე ხელაღებით იღებს უხარისხო და უვარგის საქონელს. არის შემთხვევები, როცა მყიდველი უკან აბრუნებს ერთი ჩაცმით ლანჩამძვრალ ან პირდაღებულ ფეხსაცმელს და სანამ არ გამომიცვლით, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო, — ჯიუტად გაიძახის.

გულზე ხელს ღავიდებთ ფეხზე — ფეხს და ვიტყვი, რომ საქონელბრუნვის ნაცვლად, ამ ბოლო დროს, საგრძნობლად გაიზარდა „საქონელდაბრუნება“ ფეხსაცმლის მალაზიებში.

ამასწინათ, ფეხსაცმლის ხარისხსა და ფეხსაცმლით ვაჭრობაზე „ნიანგმა“ საკმაოდ ვრცელი კრიტიკული წერილი მიიღო. ერთმა მომხმარებელმა დახეულ-დაღრეცილი ცალი ტუფლიც კი გამოგვიგზავნა. სულ ორჯერ ჩავიცი და, ნახე, ნიანგო, რა სანახავიაო!

ნიანგიც ადგა და ნახა, მაგრამ რა ნახა:

შედიხართ თბილფეხსაცმელვაჭრობის № 2 მალაზიაში (გამგე გ. გოდერიძე). შესვლამდე, ალბათ, ჩაუჭყიანებულ, ყოვლად უგემოვნოდ „გაფორმებული“ ვიტრინების შეხედვასაც მოასწრებთ. დარწმუნებული ხართ, რომ შემოგვეგებებათ თავაზიანი ღიმილი და, რაც მთავარია, ხარისხიანი ფეხსაცმელი. თქვენ კი იქ, ხარისხიანის ნაცვლად, უხარისხო საქონელი გვხვდება და... არადამაკმაყოფილებელია თვით მალა-

ზიის გამგის თავაზიანობის ხარისხიც ასეთივე სურათია თბილფეხსაცმელვაჭრობის № 30 მალაზიაშიც, იმ განსხვავებით, რომ აქ გამგის ნაცვლად უფროსი გამყიდველი ბ. ხაიმაშვილია ჩვენი მასპინძელი.

ბუნებრივია, მკითხველს ასეთი კითხვა დაებადა: რაში გამოიხატება ფეხსაცმლის უხარისხობა?

ყველა წვრილმანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ, სამწუხაროდ ყველა ეს წვრილმანი ერთად აღებული, ძალიან დიდ მსხვილმანად იქცევა. მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ბათუმის ფეხსაცმლის ინდკერვის სახელოსნოს უფროსმა ამხ. სერგო მინასიანს მიაჩნია, რომ სულ ერთია: რა მასალას სად და რაში იხმარს. სერგოს რომ ჰკითხოთ, ქსოვილი, რომელიც ლეიბის საპირედაც კი არ გამოდგება ზედგამოჭრილია ფეხსაცმლის სარჩულად და სხვა მრავალი...

აბა რა ფასი უნდა ჰქონდეს ამ თანამედროვე მექანაუზილის გამოშვებულ ჯღანებს?

არანაკლებ „საინტერესო“ სურათი გვხვდება ბათუმის ახალი ფეხსაცმლის კერვისა და შეკეთების მექანიზირებულ — სახელოსნოში (ნეტავი, ფეხი მოგვტეხბოდა და იქ არ შეგუსულიყავით!).

გამგე ამხ. ა. ჩახავა ასე გვესაუბრება: ეს საქმე ჩემი საქმე არ არის! როგორ, ფეხსაცმელს საქირო ვიზაც უნდა ჰქონდეს?

პატივცემულო გამგე, რისი გამგე ხართ, თუ ის ვერ გაგიგიათ, რომ ფეხსაცმელს უნდა ჰქონდეს თავისი მარკა: სად შეიკერა იგი, რა ზომისაა; უნდა ჰქონდეს არტიკული და, რაც მთავარია, ფასი?

— რა ღირს? — ვეკითხებით ჩახავას ერთ-ერთ მზა ფეხსაცმელზე.

— ასე, 28-30 მანეთი. — დაფიქრების შემდეგ დაუფიქრებლად გვპასუხობს იგი.

სხვათაშორის, ზემოაღნიშნულ საკითხში საკმაოდ სცოდავენ თბილისის № 1 სასწავლო-საწარმო დაწესებულება, სინთეტური ნაწარმის ფაბრიკა, საცალო წარმოების კომბინატი და სხვა დაე, კარგად ახსოვდეს ამ საქმის მესვეურებს, რომ მალაზიის ხარისხიანი ფეხსაცმლის დამზადება და გაყიდვა ფეხზე დასაკიდებელი საქმე არ არის!

სანდალა მუხალიზილი.

ნახ. მ. აბაშვილი



— ამ მხინჯ ფეხსაცმელს კიდეც ფეხების დამახინჯება უნდა?!



— რაა, კაცო, ამ სიმალეა კოია?!
— თქვენ რომ სახლში ცოლისთვის ფეხსაცმელი გაშატანეთ, იმისი ქუსლის ზომას.



— რამ დაშალა ეს ფეხსაცმელი?
— სულ ოთხჯას ბრალია: ისე მავრა ქრტყას I ხარისხის გეჭმდს, რომ ვეღარ შეღმდს.

სოფელი დონიერია, თუ კაცი...

თბილისიდან მალრანამდე ეყოფოდა კაცს წასაკითხავად ის მრავალ-ფურცლიანი საჩივარი, რომელიც მალრანადან თბილისამდე მოიტანა ფოსტამ.

ასი თვალი გამოვიბი, ასი ყური გამოვისხი და გავფრინდი...
 „წაიკითხეთ გავით „კომუნისტის“ 1968 წლის 8 აგვისტოს ნომერი“ — გვირჩევნენ წერილების ავტორები. მეც ავიღე და წაიკითხე.
 „...ახმეტის რაიონის მალრანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვისერგი ნახუცრიშვილი იმდენად გათამამდა, რომ 1961-1962 წლებში გაშენებული 18,8 ჰექტარი ვენახი 1967 წლისათვის მსხმოიარობაში არ უჩვენა და აღნიშნული ფართობიდან მიღებული მოსავლით ხელოვნურად გაზარდა ყურძნის საშუალო მოსავლიანობა 56 ცენტნერიდან 88 ცენტნერამდე“.

აი, მესმის ხელოვნურობის ხელოვნების დონემდე აყვანის ნიშნები!
 „სოფელს რომ მიუახლოვდებით, მარცხნივ გაიხედით!“ — გვაფრთხილებდა „ნიანგის“ რედაქციაში შემოსული წერილი... შევფიქრიანიდი, რაიმე უსაშველოს არ გადავეყარო-მეთქი. თავი გაუბედავად მოვიღრიცი მარცხნივ. ჩარბეებულ ნარგავებს შორის ღრმა ხნულეებია გავლებული, თვით ხეხილის ძირებს კი მუქა მიწაც არა აქვთ მიყრილი. აი, მეხი კი დავაყარე ასეთ მოვლა-პატრონობას!

„სოფელში ყველა სახლი კულტურულად არის მოწყობილი, კულტურის სახლის გარდა“. — განაგრძობენ წერილის ავტორები. მართლაც, ამას თუ კულტურის სახლი ჰქვია. იატაკმორყეულ, ჰერჩაქამებულ და კედლებზე შემოტყევებულ კლუბში ქუდი რომ შეუღდო კაცს, არ შევა.

„მალრანის ნიადაგი უხვმოსავლიანია, თუ თესლში ადამიანის შრომის ოფლსაც გავურევთ“. ამ ქარავმის ამოსახსნელად ზვრებსა და ყანებში გავიარე. ავ თვალს არ დავინახევა აქაური ვენახები, პურისა და სიმინდის მობიბინე ყანები, მაგრამ ერთგან უცებ პირკატა შეცა: ჩემს წინ 15 ჰექტარი ნაბურალი თუ ნაბალახარი შიშველი მიწა გადაიშალა. უმალ წერილი რუკასავით მოვიმარჯვე: „გორგილების სიმინდის ყანის გასწვრივ 15 ჰექტარზე დათესილი ხორბალი სარეველად ამოვიდა და უღლეური პური ჰქვამოიყოლა. თავმჯდომარემ „ყანა“ გათიბა და ბალახი მთიბველებს გაუყო“.

„შარშანდელი საზამთრო მოიკითხეთ!“ — ორმაგი ძახლის ნიშნით გაჰყვირის წერილი. მოვიკითხე. მაუწყეს: 1968 წელს სასურსათო ბაღიეულის (საზამთროს) ნათესზე დავხარჯეთ 523 მანეთი. მიწამ კი 523 კაპიკის ნაყოფიც არ დავგებინათ. უპირო ყოფილა ზოგიერთი მიწა, მიწა კი დაეყარე ამისთანა მიწასო — თავებს იწყევლიდა თურმე თავმჯდომარე.

სოფლის მტვრიან შარავზაზე ოფლად გავხეთქული დედაკაცი შემომეღე.

— შეილო, წელს 1 აგვისტომდე 153 მანეთი გამოვიმუშავეთ და ამდენი მარე კი მიუბნება. კოლმეურნეობის წევრი არა ხარო? წისქვილის აშენებისათვის, როგორც ყველა წევრს, მეც გამოვბინეს 10 მანეთი წისქვილით სარგებლობა კი ამიკრძალეს. თავმჯდომარემ სახლში სინათლეს გადამიტრა, შენი ქმარი სოფელს გაეცა და სინათლეს ისედაც თავი არ გამოგეყოფათო. განა, მალრანაში ანთებული სინათლე თიანეთში გაუნათებს ჩემს ქმარს?!

ჩამოცხა, სუნთქვა გაჭირდა. ვიდრე წყაროს მოვიკითხავდი, წერილში ჩავიხედე, იქნებ წყალზე იყოს ნათქვამი რამე-მეთქი. აქ ასეთ ამოცანას ვავაწყვი:

სოფელში დიდი ხანია დაიწყეს სასმელი წყალსადენის მშენებლობა, რომელიც 1969 წელს უნდა დამთავრდეს. ამოცანა გვეკითხება: როდის გადასცემენ წყალს საექსპლუატაციოდ, თუ მის მშენებლობაზე სულ გამოყოფილია 63.070 მანეთი, ხოლო აქედან 2 წლის განმავლობაში, დღემდე დახარჯულია მხოლოდ 29.772 მანეთი? წესით ამ ამოცანის გადაწყვეტაზე სოფლის თავაკებმა უნდა იმტვირონ თავი. ჩვენს შეკითხვაზე, ქელებზე-სათვის რატომ ჰყიდის კოლმეურნეობა ძროხებს, თავმჯდომარემ გულახდილად და ხელგაშლილად ბრძანა: ხალხს ჰირში უნდა დახმარება, ჩემო ძმარო!

მამხილებელ წერილში კიდევ ის ეწერა, რომ 1967 წელს სახელმწიფო ბანკიდან გამოტანილი 2.500 მანეთი დღემდე სალაროს შემოსავალში არ იყო გატარებული და სხვა.

ის იყო, სოფლიდან წამოსვლას ვაპირებდი, რომ ვისერგამ აღშფოთებით მითხრა:

— ვაებატონები, რომლებიც მე მიჩივიან, სოფლიდან გაქცეულები არიან და მათ ნათქვამს ყურს ნუ უგდებთო.
 პარტიცემული ვისერგი! ვისაც არგეთ, ისინი, ცხადია, თქვენზე ცუდს არ იტყვიან, მაგრამ ვისაც ერგეთ თავმჯდომარედ, მათ შორის ზოგიერთები თქვენს მაგ განცხადებაზე ამბობენ: ხომ გავიგონიათ, საცა არა სჯობს, გაც-ლა სჯობსო.

თქვენ რა აზრისა ბრძანდებით ამ ხალხურ სიბრძნეზე?

ბაიოზ შარინი

ნახ. ბ. ფირცხალაშასი



1-69

— გუშინ თქვენმა კატლებმა მავყინა; ალბათ, სორცი იყო კველი.
 — შენ თუ ინტრიგანი არა ხარ, რა უნდა ჩვენს კატლებში სორცს?

ნახ. ჯ. ლოლუასი



— რატომ მოხსნეს ეს ტელეფონი?
 — რატომ და ფულის აღების მემს, არაჟმარს არ აკეთებდა!

ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

მიმიწვია სახლში დიდიმ, (წვევლება ჰქონდა დიდი).
 მითხრა: „ხუთზე უნდა დავსდეთ, დროზე მოდი, თუ გაქვს რიდი!“

გახდა ექვსი... გახდა შვიდი...
 ნერვიულობს უკვე დიდი. არ დაედო ლოდინს ზღვარი, არ ჩანს ხალხის ნახევარი.

რვა შესრულდა — შვების ჟამი.
 „მეგობრებო, დავსდეთ აწი!“
 ვსდებით. დგება სუფრის თავი, ხელთ უპყრია საესე ყანწი:

„მეგობრებო, ამ სასმისით სადღეგრძელო შევსვით მისი, ვინც გაგვიღო გულის კარი!!!
 უცებ კარზე რეკავს ზარი.

„ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“
 და იგრძელებს დიდი კისერს. სათითაოდ ყველას გვაცნობს, ვდგებით, მერე ვსდებით ისევ.

„მეგობრებო, ამ სასმისით სადღეგრძელო შევსვით მისი, დღეს ჩვენს ღვინას ვინც დარაჯობს!“
 „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“

„გაიცანით: მზესა, ორდე, თეო, თომა, ცუცა, ჩოჩი...
 აბა, ცოტა შევმჭიდროვდეთ, აბა, ცოტა ჩაიჩოჩეთ!“

„მეგობრებო, ამ სასმისით სადღეგრძელო შევსვით მისი, ვინც ამ ოჯახს აძლევს სარჩოს!“
 „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“

კვლავ გაცნობა, გამოცნობა, მოკითხვა და კოცნა უხვი, გადაჯდომა, გადმოჯდომა, ჭახატუხი, ბრახაბრუხი...

„მეგობრებო, გავისარჯოთ, ნუ დავზოგავთ სიტყვას, ენას, ამ სასმისით გაუმარჯოს...“
 „ჩვენს წასვლას და თქვენს დარჩენას!“

კვირით ჩვენ და ვტოვებთ სუფრას, გულმოკლული მოგვდევს დიდი...
 რა ვუთხარი ისეთ სტუმარს, არაფრის რომ არ აქვს რიდი!

ბაიოზ შავიერაშვილი



სიძეე რა მოგიტანა?

ნახ. ბ. კუსტიასი



— თუ ძმა ხარ, დამიღოწმე, რომ ახსნა-
ლს თევენი დაიჭირე!



პური ჩვენი თარსოვისა

ვაჟა-ფშაველას გამზირის მესამე და მეშვიდე უბნები ერთიმეორეს გაჰყურებენ. გაჰყურებენ გაკვირვებულად, რადგან. მიუხედავად ხალხმრავლობისა, ამ უბნებს პურის სპეციალიზებული მაღაზია არ გააჩნიათ.


ამ საკითხზე ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მიემართეთ თბილქალაქეობას: — პური ჩვენი არსობისა მოგვეცე, მეუფეო, ჩვენ!

— მესამე უბნის პირველ კორპუსში მალე პურის ისეთ მაღაზიას გაეხსნათ, ჩიტის რძეში მოხედილ შოთს გაყიდის. დიახ, დიახ, სწორედ იქ, ახლა რომ ზომა-წონის სამმართველოა მოთავსებული. იმათ მალე გავიყვანთ. კაცმა რომ თქვას, სადაც მაღაზიაა, იქ ზომა-წონის რა უნდა? პურის მაღაზიას გავხსნით ზუსტად 1968 წლის პირველ აპრილს!...

ჩვენი უბნები კვლავ იზრდებიან და ვრცელდებიან. ზომა-წონის სამმართველო უკვე წავიდა იქიდან. მის ყოფილ შენობაში ნავაგი ყრია და ახლა, როცა შიგ შევიხედავთ ხოლმე, გაკვირვებისაგან ორიკოლოგარამიანი პურის ოღენა თვალები გვიხდება. ნუთუ სავაჭრო ორგანიზაციები დანაპირების დროისა და სივრცის ზომასა და წონაშიც ვერ ვერკვევიან? ერთიც არის: ყოველი წლის პირველი აპრილი ხომ მოტყუების დღეა?! არ გვინდა, ბატონო, პირველში, დაე, ორ აპრილს იყოს!

ბ. დელინელი

ნახ. ბ. კანდელაკისა



— მოგბრძანდით სტუმარი ღვთისა...
— ღვთის კი არა, სპეცინსტრატორისა, მთელი სასტუმრო თქვენს ხელშია.

ერთი გასართობი ორი კურდღელი მოკლავს, სწორედ ჩემზე იოქმება:
— აუტანელი სიციხე იდგა, ლუდი და მაცოვარში შედგმული წყალი ვერაფერს მშვედლოდა.
საღამოს ჩემს მეგობარ ავთანდილს ვეწვიე.
— მობრძანდი, მობრძანდი! — მხიარულად შემეგება დიასახლისი, — სიდედრს ჰყვარებიხარ, სწორედ ახლა უნდა გვესადილა.
სიდედრის სიყვარულში ეჭვი შემეპარა, მაგრამ სადღის კი ჩინებული დამიხვდა. სუფრას შემოვუსხედით და მხიარული საუბარი გავაბით. ბევრი ვიმხიარულეთ, ყველაზე მეტად ბავშვების კიკიკი მხილავდა. უეტრად ორივე ბავშვი ინსტიტუტურად ჩავიხუტე გულში და გამაღებით დავუწვი კოცნა.
— ბიჭო, რა დაგეპარათა? პირველად ხედავ ჩემს შვილებს?! — ხარხარებდა ავთანდილი.
— მაპატიე, უნდა წავიდე.
— რა ეკლამა გიჩხვლიტა? — იკითხა გაოცებულმა მასპინძელმა.
— სასწრაფოდ სოფელში უნდა წავიდე, ბავშვები მომენატრა...
თბილისიდან ჩემი სიდედრის სოფლამდე სულ ერთი საათის სავალია. მაგრამ იქ მისასვლელად მაინც მრავალი დაბრკოლებების გადალახვაა საჭირო, საგზაო დაბრკოლებები რა სახსენებელია! ხომ მოგეხსენებათ სოფლის ჩვეულება: მიხვალ და ყველა თავს გამოჰყოფს, სიძემ რა მისი გიტანაო. ერთხელ სიდედრმა ისიც კი დამარიგა, თუ გინდა შენი საცულები იყოს, ტყუილად მაინც ამოიჩარე ილღოში რაიმე დამაზად გახვეული და ხელცარიელი კი ნუ მოხვალო.
— უცებ ერთმა აზრმა გამიელვა: სასწრაფოდ გამოვიდე ვარეთ, ჩემი ეტლიანი მოტოციკლი ავამუშავე და გზას გავუდექი. „ბავშვთა სამყაროში“ შევიარე; მს კაიყად რაღაც სათამაშო ვყვიდე და ნაცნობ გამყიდველს დავედრიჭე:
— ოთარ, თუ ძმა ხარ, ერთი მოზრდული უფთი მომეცი!
მან უფოყმანოდ გადმომცა ორმოცდაათიკოლოგარამიანი მაკარონის უფთი.
— ცოტა პერგამენტის ქაღალდიც გეჭენება.

იმითაც უხვად დამაჩილოდი, ეტლინთვე, ეს ნავაგი დამლაგებების ცილა ტანინე და შენ აგაშენა დეობოზო.
მცხეთას რომ გავციდი, მოტოციკლი გზიდან გადავყუნე, ფრობილად გავხსენი ძარაში ჩადებული უფთი და ქვებით ავავსე, ზევიდან კი ქაღალდი გადავადარე. შემდეგ ბავშვის ერთი ბეწო სათამაშო გავახვიე და ზემოდან დავადე... სხვა თუ არაფერი, მოსახვევში ეტლი არ გადამიყრავდება, თანაც სოფელში იტყვიან, სიძე ხელნახვიადად ჩამოვიდო, ვფქრობდი.
... მთელი უბანი გარეთ გამოვიყვანა. მეუფე დამიღოთ შემომეგება, ეტლში შეფუთულ უფთს ცნობისმოყვარეობით გადახედა...
— აბა, დამეხმარეთ, ეს უფთი ოთახში შევიტანოთ! — ჩავილაპარაკე უმისამართოდ და უეტრად გვერდში ხუთი კაცი ამოვიდგა.
— აი, სიძე, — მომესმა აქეთ-იქიდან.
— რას ამბობ, ქა! იცო, რამოტელა კაცია ჩვენი სიძე? რომ მოინდომოს, ხელს ასწევს და ტროლიტეზს გაჩერებს, მაშინ მესმოდა და გულში მეციცნებოდა. ოთახში შევიდი და უფთზე ჩამოვკეცი. მეუფე ფეთიანხვით მეცა: რა თავსატეხი გიდევს შიგ, არ გაგიტყუდესო.
ამოვიდე ქვა, სიცილით ავადეე ზევით, მაგრამ თავი ვერ შევევფიჭე. ისე კი, სახელის გატეხას მართლაც თავის გატეხა კოზნებია.
— რა არის, კაცო, ეს?
— ფული არ მქონდა, მომენატრეთ და სოფელში ხელცარიელი ხომ ვერ ჩამოვიდოდი.
— რაშია საქმე? — მოითხოვა სასწრაფო ინფორმაცია სიდედრმა.
მეუფემ ყველაფერი უამბო და ახლა ორივე ერთად ახარხარდა.
— რას იტყებოთ? — იკითხა ცოლისმამა და როდესაც საქმის ვითარება გაიგო, ისიც ჩაბჭირდა.
— რატომ არ იცინებენ, ქა, მთელი წლის ხარჩო ჩამოუტანა ცოლ-შვილსა, — ლაპარაკით ჩაიარეს ორღობში მეზობლის ქალებმა.

ენვერ ქვლაძისი

დაცველის საბრადღებლო სიტყვა

„...საკომმუნერეო ველ-მინდვრებსა და ბაღვენახებში გვირული შრომით მოღლილი, მაგრამ თავისი ნამოღაწარით კმაყოფილი სოფლის ახალგაზრდობა ერთსულთვნად მიეშურებოდა კულტსახლის საკონცერტო დარბაზისაკენ. ამ დროს საიღწაოდ გამოჩნდა გამოუსწორებელი ლოთი და ჩხუბისთავი; ხულიგნურ საქციელში არაერთგზის შემჩნეული უსაქმური ამეთვისტო კოლუა. საზოგადოების ეს ხორცმეტი ბარბაციო მიუახლოვდა კულტსახლის შესასვლელს, სადაც მას გზა გადაუღობა სოფლის მოწინავე ახალგაზრდამ — ყარამან დევიძემ, რომელსაც იმ საღამოს წესრიგის დაცვის საქმე ჰქონდა მინდობილი. დევიძემ კოლუას მოსაწვევი ბარათი მოსთხოვა. უმოსაწვევო კოლუამ უშვერი სიტყვებით გალანძა დევიძე და საკინძე ჩამოახია; ესეც არ აკმარა — წიხლი ჰკრა, კიბიდან გადაადლო, წაქცეულს ზედ დაახტა და შეუბრალებლად სცემდა. ბოროტმოქმედი შეპყრობილია და უახლოეს დღეებში წარსდება სასამართლოს წინაშე“.

ნაწუხები საბაზითო ძრონიკიდან

ახლა გთავაზობთ ამონაწერს ბოროტმოქმედ კოლუას დამცველის — ადვოკატ მაქაცარიას სიტყვიდან, რომელიც მან სასამართლო პროცესზე წარმოთქვა.
„...დაზარალებული ყარამან დევიძე, როგორც ხედავთ, ნამდვილი დევია: ას ოც კილოგრამს იწონის და პირველი თანრიგი აქვს ძალონობაში. ბრალდებული ამეთვისტო კოლუა კი, მასთან შედარებით, მართლაც რომ კოლოა, რწყილია. არ იფიქროთ, ამ შედარებით გამოძიებით დადგენილი ფაქტების გაბათილებას ვპირებდე. პირიქით, დაბეჯითებით ვადასტურებ კოლუას მიერ დევიძის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს.
მამასადამე, ამეთვისტო კოლუა — ეს მოვრალი კურდღელი, რომელიც, მოწმეთა ჩვენების თანახმად, ფეხზე ძლივს იდგა, ბარბაციო მიუახლოვდა კლუბის შესასვლელს, სადაც მოსაწვევი ამართულყო ყარამან დევიძე. დევიძემ მოსაწვევი ბარათი მოსთხოვა. კოლუამ დედა შეაგინა. დევიძე მორიდებით შეეკითხა: დედას რატომ მაგინებო. კოლუამ შეუღრინა: მოკეტე, თორემ უარესს გიზამო. დევიძე აყალმაყალს მოერიდა და დაუყვავა: ნუ ცხარობ, გიკრავს დაწყნარე, შინ წახვიდე და მოისვენო. კოლუამ არ მოისვენა, საყელოში წედა, მოსწია და პერანგი ჰიპამდე ჩამოახია. დევიძემ ბაღლით დაფარული მუცელი ხელით დაიფარა და სახე გაუწითლდა. კოლუამ სილა გააწნა და სიწითლე მოუმატა, მაგრამ, როგორც ეს საბრალდებლო დასკვნაშია ნათქვამი, „დევიძე არც ახლა წამოეგო პროვოკაციის ანკესზე“ და თავაზიანად უსაყვედურა შეურაცხყოფელს: არ შეგშენის ასეთი საქციელიო. კოლუამ უხეზად უბიძგა და კარისაკენ დაიძრა. დევიძემ მკლავში ხელი წააგლო და შეეხვეწა: თუ ძმა ხარ, დარბაზში წესრიგი არ დაარღვიო. კოლუამ ხელი გამოსტაცა, მერე წიხლი ჰკრა და კიბიდან გადაადლო. უმაღ თვითონაც გადახტა, წაქცეულს ზევიდან დააჯდა და ცემა დაუწყო. ძლივს გამოვლიჯეს ხელიდან...“
ვექილ მაქაცარიას აღნიშნული სიტყვის შემდეგ აღარავის გაკვირვებია, სასამართლო კოლუა კდარა, გალანძვით ყარამანი რომ ცნო დამნაშავედ.
ახია მაგ კრეტინეო, — ამბობდა ხალხი.
გურამ შარაშიძე

სატივისტოს გასაჭირი

ნახ. ს. ცინცაძისა.

ცხრათავაძეს საწარმოში
სახელი აქვს გავარდნილი:
რაც არ უნდა დაავალონ,
გააკეთებს ავთანდილი.
სიმღერის გუნდს ის ლობჯინაძის,
ის აცეკვებს ციციას წრესაც.
რაც მიანდეს დრამსეცია,
საქმე მიდის უკეთესად.
ვის საით სურს დასვენება,
ის აზუსტებს, ადგენს სიებს.
აბა, ის თუ არ გაუძღვა,
ვინ მოაწყობს ექსკურსიებს?
კონტროლიც მას აბარია,
საქმეს მისი მადლი მოსავს
და ურთიერთდახმარების
იგი მართავს საღაროსაც.
აძლევს რჩევა-დარიგებებს,
ვინც საქმეს ვერ ეუფლებს.
რვა წელია, კედლის გაზეთს
რედაქტორობს შეუცვლელად.
შაბათობაც მას მიანდეს,
სისუფთავის მოგვარებაც,
თანაც უთხრეს: „თანგ გაართმევ.
შენ რად გინდა მოხმარება?“
გამოიბი ათი ხელი,
ათი თვალი, ათი ყური...
სხვაზე მეტი გევალება,
მუშაკი ხარ აქტიური.
დგას კარებთან ცხრათავაძე,
მოწვევებულ ფიქრის მონა.
„ღარ იცის, ვით გაიჭრას
ერთი კაცი მილიონად.
...ერთს მივანდოთ ყველაფერი? —
სხვებისათვის სირცხვილია,
თორემ ხედავთ? ფანჯარაში
წარმაცები იცინიან.“



— წყლის გადასახალს რატომ არ იხდით?
— რატომ უნდა გადავიხალო? ვი ვილია, ვზეთი წყალი
არ ღამილავია!..

ვახტანგ გორგაძელი



მთავარი
რედაქტორის
მოადგილე
გიორგი ნიშნიანიძე

სარედაქციო
კოლეგია:
ნ. დუმბაძე
(მთავარი
რედაქტორი)
ზ. გოლჭვაძე
(პ/მ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღალაშვილი,
ნ. შვილიძე,
ო. ჭელიძე.

სატივისტოსა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
თბილისი, სატირიკო-
იუმორისტული
ჟურნალი „ნიანგი“.
ბელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საბ. კვ ცვ-ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცვა ასაწყობად
25/11/69 წ.
ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 23/11/69 წ.
ჭალალდის ზომა
70x108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,4.


საბ. კვ ცვ-ის გამომცემ-
ლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД.-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ГВИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14

შეგ. № 2541.
·შ 00938.
ბირაჟი 112.000.



ა. ნუნუაძე
КОНТРОЛЬНИК
ЭКЗЕМПЛЯРОВ



— რატომ არ სწავლობ, გოგო? ტანზე გაკლია თუ ფეხზე?

კითხვა: თანამედროვე ქალში ყვე-
ლაზე უფრო რით იგრძნობა, რომ ჩვენ
აღამ და ევას შთამომავლები ვართ?
პასუხი: ჩაქმულობით.

კითხვა: როცა ექიმი ნაღობზე ხელს
არ გიშორებს, რა უნდა ჰქნა?
პასუხი: შენ უნდა გაუმართო ხელი.

კითხვა: ტაქსის მძღველს რა და-
ნიშნულება აქვს?
პასუხი: იცოდეს მგზავრმა, ზიდმეტს
რამდენს აძლევს მძღველს.

კითხვა: უპატიოსნოდ შეძენილი ლუქ-
მა ვის არ ადგება გულზე?
პასუხი: ვისაც გული არა აქვს.

კითხვა: „მოხალტურე“ ნოქარს რა
შემთხვევაში ინახავს გამგე?
პასუხი: როცა ნოქარი ინახავს გამგეს.

ბ. ლაშაშვილი.

მ ს ი ა
რ უ ლ თ ა
და
ს ა ზ რ ი
ან თ ა
კ ლ უ
გ ი
ს ა თ ი რ უ ლ ი
და მ ი რ ა ს თ ი
ა ლ ი

1. ადამიანისთვის გულის გადანერგვის ოპერაციისათვის ყველაზე შესაფერისი აღმოჩნდა ღორის გული. ალბათ ამიტომაც, რომ ზოგიერთი ადამიანის გულს ვერაფერი აძლევს.
2. ზოგიერთი მეცნიერის შრომის ნაყოფი ათი და ხშირად მეტი წლის შემდეგ ჩანს. ამიტომ იგი ათი და ხშირად მეტი წლის განმავლობაში მუდამ ვალშია ხალხის წინაშე, რომელიც მას ჯამაგირს უხდის.
3. ყველაზე დიდი აღმოჩენები სრულიად უბრალოდ ხდებოდა: მაგალითად, არქიმედემ სხეულთა კუთრი წონის კანონი ბანაობისას აბაზანიდან გადმოღვრილი წყლით აღმოაჩინა. ამგვარ აღმოჩენებს ჩვენ ყოველდღე ვაკეთებთ, მხოლოდ ქვემო სართულის მეზობლები ამას ყოველგვარი ვნთუზიზმის გარეშე ხვდებიან.
4. არიან ადამიანები, რომლებზეც ქრთამი არ ჰქრის — რობოტები.



მრავალდედიანი უშილი

ნ.ს. დ. უბარაძე-გომბურძენისა

